საიდ. №72049/03

IR 1155186

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №93-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ჩაი იშლეთმელერი გენელ მუდურლუღუ”-ს (ÇAY IŞLETMELERİ GENEL MÜDÜRLÜĞÜ) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №93-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 18 მარტის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №519/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ÇAYKUR TURKISH TEA” (საიდ. №72049/03 IR 1155186) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (30-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 18 მარტის №519/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „ჩაი იშლეთმელერი გენელ მუდურლუღუ" (მისამართი - Ekrem Orhon Mahallesi, TR-53080 RIZE, Turkey) სახელზე 30-ე კლასის საქონლისთვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნებისა: „ÇAYKUR Rize turist çayi" (რეგისტრაციის №734830, რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი: 13/04/2000); „ÇAYKUR Filiz" (რეგისტრაციის №734831, რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი 13/04/2000); „ÇAYKUR DEMLIK POSET" (რეგისტრაციის №734832, რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი 13/04/2000); „ÇAYKUR ALTIN SUZME POSET" (რეგისტრაციის №734833, რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი 13/04/2000); „ÇAYKUR CAY CICEGI" (რეგისტრაციის №741536, რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი 13/04/2000); „ÇAYKUR Altinbas" (რეგისტრაციის №747076, რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი 28/08/2000), რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „ჩაი იშლეთმელერი გენელ მუდურლუღუ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელმა კომპანიამ შეიცვალა მისამართი: „ექრემ ორჰონ მაჰალესი, TR-53080 რიზე, თურქეთი", მისი ახალი მისამართია: „მუფთუ მაჰალესი, TR-53080, რიზე, თურქეთი". შესაბამისად, აღარ არსებობს სასაქონლო ნიშნისათვის „ÇAYKUR

TURKISH TEA” (საიდ. №72049/03 IR 1155186) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 18 მარტის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №519/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ÇAYKUR TURKISH TEA” (საიდ. №72049/03 IR 1155186) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ოფიციალურ ბაზაში 2014 წლის 24 მარტს დაფიქსირებული ცვლილების თანახმად, კომპანია „ჩაი იშლეთმელერი გენელ მუდურლუღუ”-მ (ÇAY IŞLETMELERİ GENEL MÜDÜRLÜĞÜ) მისამართით: „ექრემ ორჰონ მაჰალესი, TR-53080 რიზე, თურქეთი” (Ekrem Orhon Mahallesi, TR-53080 RIZE) შეიცვალა მისამართი შემდეგზე: „მუფთუ მაჰალესი, TR-53080, რიზე, თურქეთი” (Muftu Mahallesi, TR-53080 RIZE TR). აქედან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს წარმოადგენს ერთი და იგივე კომპანია, შესაბამისად არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო

ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ÇAYKUR TURKISH TEA” (საიდ. №72049/03 IR 1155186) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჩაი იშლეთმელერი გენელ მუდურლუღუ”-ს (ÇAY IŞLETMELERİ GENEL MÜDÜRLÜĞÜ) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 18 მარტის №519/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ÇAYKUR TURKISH TEA” (საიდ. №72049/03 IR 1155186) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების

გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	მ. ფრუიძე
წევრები:	ლ. კერესელიძე
	დ. ჭიჭინაძე